# საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება N 01-09/775

26 ოქტომბერი 2017 ქ. ბათუმი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 23 აგვისტოს №01-09/487 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ–ს რექტორის 2017 წლის 23 აგვისტოს №01-09/487 ბრძანების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ქ. სვანიძის 2017 წლის 16 ოქტომბრის (MES 51701263385) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 23 აგვისტოს №01-09/487 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი თეა ფუტკარაძის (პ/ნ ) და თინათინ მგელაძის (პ/ნ ) ნაწილში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1.10. თეა ფუტკარაძე (პ/ნ ) –183 კრედიტის აღიარებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების VII სემესტრიდან (სტატუსი შეუჩერდა 2015 წლის 7 აპრილის № 01-09/219 ბრძანებით, სწავლის წლიური საფასური დაერიცხოს მოქმედი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით).

1.11. თინათინ მგელაძე (პ/ნ ) – 137 კრედიტის აღიარებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლების მე-5 სემესტრიდან (სტატუსი შეუჩერდა 2017 წლის 14 მარტის № 01-09/144 ბრძანებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურია 2250 ლარი).

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარდგენილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, (ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეებში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში ( ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში